ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 135 თიბათვე 29, ხუთშაბათი 1889 თიბათვე 29, ხუთშაბათი № 135

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 1 კათათვეს.

აზნაურ ნ. ზ. ღორთქიფანიძის

როტონდა „ტრამვაიში“.

ხუთშაბათს, 29 ივნისს, და შემდეგ ყოველ დღე გამართული იქნება საარტისტო წარმოდგენა ფიზიონომისტისა და მიმიკოსის ნატან შვარცისა და აგრეთვე იანოვიჩისა და ძმათა უმლაუფების მონაწილეობით. დაწვრილებით ყოველივე აფიშებშია გამოცხადებული.

(1—1)

კიდევ ფილოქსერას შესახებ

ფილოქსერა იმდენად არის გავრცელებული ქუთაისში, სვიმონეთსა და ალისუბანში და ვინ იცის კიდევ სად, რომ დროა ვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ რა საშუალებით უნდა ვებრძოლოთ ამ საშინელს მტერს.

უთუოდ მკითხველსაც მოეხსენება, რომ საბრძოლველი საშუალება ფილოქსერასთან ოთხია: პირველი—ეგრედ წოდებული «რადიკალი საშუალება» ყოვლად უსარგებლოა მარტო იმით, რომ ფილოქსერა დღეს 200 დღიურს ვენახზეა აღმოჩენილი და ვინ შესძლებს ამდენის ვაზის დაგლეჯას და თითო ვაზის ნაადგილევზე 1—2 ფუთ ნავთის ჩასხმას?

მეორე საშუალება — ვენახში წყლის ჩაყენება 30 დღით—ჯერ საზოგადოდ ჩვენს ქვეყანაში და მერე განსაკუთრებით იმერეთში მოუხერხებელია ჯერ წყლის ნაკლებობის გამო და იმიტომ კიდევ, რომ ვენახები ფერდობებზეა გაშენებული.

მესამე საშუალება—ვენახის ქვიშიანს ადგილში გაშენება—(ქვიშა მიწის 60% უნდა შეადგენდეს) იმერეთში ხომ უსარგებლოა და უსარგებლო, რადგან აქ უმეტეს ნაწილად თიხნარია.

დარჩა მეოთხე და, მე მგონია, ერთად-ერთი გამოსადეგი საშუალება. ეს საშუალება ის გახლავთ, რომ იმისთანა ვაზი უნდა გაშენდეს ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც ფილოქსერა ვერაფერს აკლებს. ამისთანა ვაზი ამერიკელი ვაზია.

მკითხველმა უთუოდ იცის, რომ ფილოქსერა პირველად საფრანგეთში გამოჩნდა 1868 წ. და 15 წლის განმავლობაში თითქმის 2 მილიონი დღიური ვენახი გაანადგურა. მცოდნე და მხნეობით სავსე ფრანგმა ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ თავის თავისთვის ეშველა და კიდეც გაიმარჯვა: სადაც წყლის ჩაყენება შეიძლებოდა ვენახში, ჩააყენა, სადაც ქვიშნარი იპოვებოდა, იქ ვენახები გააშენა და სადაც ამერიკელის ვაზის გამრავლება იყო საჭირო, გაამრავლა, მაგრამ ვიდრე იმდენს ამერიკელს ვაზს გაამრავლებდა, რამდენიც დღეს არის, ბევრი წვალება და შრომა დასჭირდა: ჯერ უნდა გაეგო, რომელი ამერიკელი ვაზი უფრო ეშესაბამებოდა საფრანგეთის ჰავასა და ნიადაგს; როცა ყოველივე ესე ბევრის ცდის შემდეგ გაიგო და კიდეც შეუდგა ამ ვაზის გამრავლებას, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ, თუმცა ამ ვაზს ფილოქსერა ვერას აკლებდა, მაგრამ არც იმისი ყურძენი ვარგოდა და არც ღვინო.

არც აქ უღალატა ფრანგს გამჭრიახობამ და ამერიკელს ვაზზე ადგილობრივი ვაზი დაამყნო და ამ ნაირად ვაზიც ფილოქსერისაგან დაიხსნა და ისეთივე ღვინოც მოდიოდა, როგორც წინად, მაგრამ, ვიმეორებ, სანამ ამას მიაღწევდა ფრანგი, მრავალი წელიწადი, მილიონები, დიდი შრომა და ცოდნა დასჭირდა.

ჩვენ უფრო გაგვიძნელდება საქმე, თუ ვინმე არ გამოგვესარჩლა, და ეს მოსარჩლე, ჩემის აზრით, მართებლობა უნდა იყოს, რადგანაც იმერეთის უმთავრესს სიმდიდრეს ღვინო შეადგენს და ხალხი ამითი იხდის ყოველს გადასახადს.

მართებლობამ ამერიკელი ვაზი უნდა გააშენოს, ხალხს უფასოდ უნდა დაურიგოს, ასწავლოს ადგილობრივის ვაზის ლერწის დამყნა ამერიკელზე და სხ.

მცოდნე და შეძლე კერძო კაცებმაც უნდა შეუწყონ ამ საქმეს ხელი და როცა მართებლობის ცდას კერძო კაცებისაც მიემატება, მაშინ შესაძლებელია გვეშველოს რამე, თორემ თქვენი მტერი და ჩვენი საქმე!

ამას გარდა საჭიროა ყურადღება მიექცეს ჩვენებურის ვაზის თვისებას; შესაძლებელია ჩვენშიაც იყოს იმისთანა ვაზი, რომელსაც ფილოქსერა ვერაფერს აკლებს.

მგონი არსებობს ერთი ვაზი, სახელად „მწვანე“, რომელსაც ნაცარი არ ეკარება, და ვგონებთ ამ ვაზს ფილოქსერამაც ვერა დააკლოს-რა. ამას შემდეგის საბუთით ვამბობთ: პირველად რომ ქუთაისში აღმოჩნდა ფილოქსერა, ჩვენ შემთხვევა გვქონდა თითქმის ყველა ქუთაისის ვენახები გაგვესინჯა და სადაც-კი ფილოქსერა აღმოვაჩინეთ, ყველგან „მწვანე“ კარგს მდგომარეობაში დაგვიხვდა და სხვა ვაზები-კი, თუ გამხმარი არ იყო, გახმობას აპირობდა. ბ-ნ ი. გუნცელაძესაც იგივე შეუმჩნევია ერთს ქუთაისის ვენახში.

ამ გარემოებამ ამის დამწერის ყურადღება მიიქცია, მაგრამ იმ ხანებში ბ-ნმა გეევსკიმ ალისუბანში მიმიწვია და ღონისძიება წამერთვა თვალ-ყური მედევნებინა ამ გარემოებისათვის, რადგანაც ამ სოფელში „მწვანე“ სრულებით არ არის.

20 ამ თთვისას სოფ. სიმონეთში დავათვალიერეთ ვენახები. ამ სოფელში რომ მივედით, საღამო იყო და ჩემმა მასპინძელმა გვითხრა, რომ „მწვანის“ გარდა ყველა ნაირის ჯიშის ვაზი წახდა და იქ, სადაც შემოდგომაზე ჭაობი დგება, ვაზი კარგი არის, ისე, როგორც ქვიშიანს ადგილშიო.

მეორე დღეს ვენახების დასახედავად რომ წავედით, მეტის-მეტად გაგვაკვირვა იმ გარემოებამ, რომ აქა-იქა ჩაკვეტებული ზოგი ვაზი, როგორც იტყვიან, დუღდა და გადადუღდა და სხვები-კი სულ გახმარიყო და ზოგიც გახმობას აპირებდა. გამოკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საღი ვაზები „მწვანის“ ჯიშისა იყო და სხვები—ზოგი «საფერე» იყო, ზოგი „ციცკა“, ზოგი «სამაჭრე» და ზოგი «ქართული». ამ ვაზების გახმობის მიზეზი ფილოქსერა არის და „მწვანე“-კი, როგორც ვთქვით, დუღს და გადადუღს. იქნება შემდეგში „მწვანეც“ დაიმარჩილოს ამ საშინელმა მწერმა, მაგრამ მწვანე დღეს ებრძვის და ვინ იცის რითი გათავდება ეს ბრძოლა?

ჩვენა გვგონია, საჭიროა ყველამ, ვისაც-კი ვენახი აქვს, ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს, და თუ მართლა „მწვანეს“ ვერაფერს დააკლებს ფილოქსერა, მაშინ ამერიკელი ვაზი მეტი იქნება და საქმე ძველ ნაცნობ „მწვანესთან“ გვექნება. ღმერთმა ჰქმნას!..

პ. ყ—ნი

ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ქართულმა სამღვთო წიგნთ საკითხავმა გამოსცა პატარა წიგნაკი: ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა. წიგნაკი შეიცავს 34 გვერდს, ლამაზად და კარგს ქაღალდზედ არის დაბეჭდილი და ყდაზედაც კარგი სურათია ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა. თვით მოთხრობა კარგის, ადვილად გასაგების ენით არის დაწერილი და ღირს ორი შაური. სასურველია, რომ ქართულმა სამღვთო წიგნთ-საკითხავმა კვლავაც განაგრძოს ამ გვარის წიგნაკების ბეჭდვა, ხოლო ის უნდა შევნიშნოთ, რომ კარგი იქნება „წიგნთ-საკითხავმა“ ბეჭდოს მოთხრობანი ჩვენის საეკკლესიო ისტორიიდგანაც. ჩვენთა წმინდათა ცხოვრება, მოღვაწეობა, ტანჯვა-წამება მდიდარი მასალაა სახალხო წიგნების ავტორთათვის და ამიტომ

ფელეტონი

ქართული სოფელი

II

მეტყვიან—სულ ხომ გაჭირებულს ყოფაში არ არის სოფლის კაცი, რომ მუდამ ნახევარ ფასად გადაჰყაროს ქალაქში თავისი ნაშრომ-ნაღვაწი, ან ყველა სოფლელნი ხომ არ არიან გაჭირებულნი, რომ უეჭველად დაეჩაგვრინონ ქალაქსაო. ბევრი ისეთი სოფლელიც არის, რომელსაც არავითარი პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს ქალაქთან და რასაც თავისს შრომას გამორჩება, ყველაფერს საკუთარსავე ოჯახში ჰხმარობსო. არის ისეთი სოფლელიც, რომ, პირიქით, იხვეწიებს ხოლმე კიდეც ქალაქელ ჩარჩსა და უნდომრად, უხალისოთა ჰყიდის თავის საქონელსაო. ამიტომ არ ითქმის, ვითომც საზოგადოდ ჩვენი ქალაქები სჩაგრავდნენ სოფლებს, ატყუებდნენ და სამაგიეროს არ აძლევდნენ იმ ნაწარმოებში, რაც სოფლებს ჩააქვთ ქალაქებშიო. თითო-ოროლა გაჭირებული კაცი არ შეადგენს სოფელს, სოფელს გაუჭირებელიც ბევრი ჰყავს, ვალსა და ვახშს არ ეთელვინებიან, მოვალე არ აღგათ თავსა და არ გაეზიდებიან თავგებივით ამისთანა სოფლელების ჯიბის ბარაქას, სოფლელს თითონვე რჩება ჭირნახულისაგან ამოღებული ფულიო, მაგრამ თავისი კეთილდღეობა მაინც ვერ დაუყენებია ისე, რომ წარმატება ჰქონდეს თვალ-საჩენი და გაუწყვეტელიო, და ეს კიდევ სულ იმიტომ, რომ ქართველები ვართო.

თითქო ჩვენს კაცს ერთი რამ ღვთის რისხვა უნდა დაატყდეს თავსა და გადაგვარდეს, რომ შეიგნოს ცხოვრების ყადრი და მუყაითად შეუდგეს თავის კეთილდღეობის აწევას, თორემ სხვა გზა და სახსარი ჩვენთვის აღარ მოიპოვებოდეს. რაც შეეხება ღვთის რისხვას, ვერ ვიტყვით, რომ ქართველ ხალხს ბევრჯელ არ დასტეხოდეს თავს, მაგრამ ჩვენ მაინც ამით კარგი არა მოგვკარებია-რა, ვნება-კი დიდი გვინახავს. ხალხის გადაგვარებაც ისეთი ადვილი საქმე როდია, როგორც ჰფიქრობენ ზოგიერთი დამყაყებული პოლიტიკოსები, რომელნიც თავის ცხვირის იქით ვეღარას ჰხედავენ. ამისთანა საქმე მოუხერხებელიც არის და თან არც სასურველია, ამიტომ რომ აქედამ არა გამოვა-რა, გადაგვარება ჩვენ ვერ გაგვამდიდრებს.

ეგ რათ გინდათ, ჩვენ, ქართველებივე, ერთს დროს ისეთი მდიდარე ხალხი ვყოფილვართ, რომ ჩვენთვის ყველაფერი უხვათა გვქონია და სხვებისთვისაც გვიძლევია ლუკმა პური. ჯერ მეჩვიდმეტე საუკუნეშიაც-კი, როდესაც შავი დღე ადგა თავს საქართველოს, უცხო ქვეყნის მოგზაურები აგვიწერენ ქართველთა საკვირველს სიმდიდრეს, ყველაფრის სიუხვეს და სხვათა შორის ამის გამო გაძლიერებულს სტუმართ-მოყვარეობას. არა ერთხელ გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენს მოსწრებაშიაც-კი გვახსოვს სიმდიდრე და სიუხვე ქართულის ოჯახისა, მრავალ-გვარობა ქართველის წარმოებისა და ნაწარმოებისა. მაშასადამე, აქ გადაგვარება არას შუაშია და არც ქართულობა უშლის ხელს ჩვენის სოფლის წარმატებას, როგორც იგი არ უშლიდა სხვა დროს და როგორც არ დაუშლის არას დროს. ღღევანდელი სიღარიბე ქართულის სოფლისა გამოწვეულია მრავალ გვარ მიზეზისაგან. შეისწავლეთ ეს მიზეზები, აიცდინეთ იგინი თავიდამ, გამოცვალეთ სოფლის გარემოება და მაშინ კიდევ ჰნახავთ, რომ ქართული ხასიათი, ნაყოფი ხანგრძლივის რაინდულის ცხოვრებისა, არა თუ არ დაუშლის ჩვენის ხალხის გამდიდრებას, არამედ თვით სიმდიდრეს მისცემს ლაზათს და მოაშორებს თავიდამ იმ უსიამოვნო თვისებას, რომელსაც იჩენს დღეს იგი თავის აგრეთ წოდებულ „კაპიტალიზმობით“.

**

მრავალ გვარ მიზეზ შორის, რომელნიც აბრკოლებენ ჩვენის სოფლის სიმდიდრეს და ხელს უმართავენ იმისს გაღარიბებას, ჩვენ იმ დღეს დავასახელეთ მარტო ერთი გარემოება და, ჩვენის აზრით, ეს გარემოება ყველაზე ადრე უნდა შესცვალოს ქართულმა სოფელმა თავის ძალ-ღონის მოსაბრუნებლად. მეურნეობაში იმაზე ძნელი და სავალალო არა არის-რა, როგორც ისა, რომ მეშრომემ ვერ ამოიღოს ჯეროვანი საფასური თავისის შრომისა და გარჯისა. მეურნეობას მაშინაც-კი უჭირს საქმე, როდესაც შემოსავალი აყენებს ხოლმე ხარჯსა და მუშაობის ფასს. ამ შემთხვევაში რა ამაგსაც ადევ საქმეს, სწორეთ იმასვე იღებ, ასე რომ წარმატებას არა აქვს აქ ადგილი. ერთი ეს არის, რომ ზარალი არ მოგდის, მეტი არაფერი. მეურნეობის გაძლიერება-კი მხოლოდ მაშინ არის მოსახერხებელი, როდესაც წლის ბოლოს აყენებ სრულად ხარჯს, მუშაობის ფასს, იარაღისა და პირუტყვის ქირას და გარეშე ამისა კიდევ ძირსა გრჩება ცოტა თუ ბევრი მოგება. ყველასათვის აშკარაა, რომ, თუ არ მოგებით, სხვაფრივ არ შეიძლება კეთილდღეობის აწევა და მოღონიერება ხალხისა.

ქართულ სოფლის ნაწარმოებს-კი ისეთი ცუდი ბაზარი აქვს, რომ მეურნემ ძალა-უნებურად ზარალით უნდა გაჰყიდოს თავისი საქონელი. ვისაც არ უჭირს, ის არც გაჰყიდის, ვიდრე არ შეეხვეწებიან და მომეტებულს ფასებს არ შეაძლევენო—მეტყვიან. ეგ ადვილი სათქმელია, მაგრამ სინამდვილეში მაგ აზრით არავის დაიარება. ნამდვილად საქმე ასეა ხოლმე: გაჭირებული სოფლელი მიეშურება ბაზრისაკენ, სადაც დაოსტატებული ჩარჩები ათას გვარის ხრიკითა და ოინით იქამდე მიიყვანენ კაცსა, რომ ზარალით ეთხოვება თავის ნაშრომ-ნაღვაწს და იეფათა ჰყიდის საქონელს. აქედგან გაიკვეთება ფასები. როცა იეფად შეიძლება ჭირნახულის სყიდვა, მაშინ რომელი სულელი გახსნის ქისასა და მომეტებულს ფულს მისცემს სოფლელს, გაჭირებული იქნება ესა, თუ გაუჭირებელი! ბაზარს თავისი კანონები აქვს და აქ მარტო სურვილი ცარიელი ოცნება იქნება და სხვა არარა.

თქმა არ უნდა, სოფელსაცა ჰყავს გაუჭირებელი ხალხი, რომელსაც უცხო არავინ ატანს ძალას—გინდა თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანატრელია, რომ სამღვთო წიგნთ-საკითხავმა გამოიყენოს ეს მასალა და ჰბეჭდოს მოთხრობანი ჩვენთა წმინდათა ცხოვრებისა. რასაკვირველია, ხალხიც მეტის ხალისით წაიკითხავს თავისს წმინდათა ცხოვრებას, თუ-კი წიგნაკი კარგის ენით იქნება დაწერილი და იაფად ეღირება.

⁂ სამშაბათს, ამ თვისს 27-ს, ტფილისიდგან გაემგზავრა კურსკის გუბერნიაში ტფილისის პოლიციის უფროსი ბ-ნი როსსინსკი, რომელიც ტფილისს დაბრუნდება ოც-და-რვა დღის შემდეგ.

⁂ ამას წინად ჩვენ დავბეჭდეთ, რომ ჯვარის-მამის ეკკლესიაში მოინათლა ერთი ებრაელი ოჯახით. ეხლა ამ ამბის შესახებ ჩვენ შევიტყეთ შემდეგი: დიასახლისს ამ ოჯახისას გვარად დილლერმანს, რომლის ქმარი მომკვდარა, ჰყოლია ექვსი შვილი. ამ უკანასკნელს დროს ერთს ბერძენს მიუცია ამ ებრაელის დედაკაცისთვის სიტყვა, რომ ჯვარს დაიწერო შენზედ, თუ მოინათლებიო. დედაკაციც დასთანხმებია. ებრაელთ გაუგათ თუ არა ეს ამბავი, მოვარდნილან იმ დედაკაცის სახლში, პუშკინის ქუჩაზე, და დიდი აყალმაყალი გაუმართავთ. უნდოდათ მონათლულ ებრაელთა ცემა, ხოლო პოლიცია ჩაერია საქმეში და დროზედ შეაჩერა თურმე შეტაკება.

⁂ იმ მატარებლებში, რომელნიც დადიან ბათუმსა და ტფილისს შუა, დილისანი კიდევ ჩქარა დადიან, მაგრამ შუადღისანი-კი მეტად ნელა და ისეთის ზლაზვნით, რომ კაცს მოთმინება ეკარგება. ორთა შუა რიცხვით დილის მატარებელი გაივლის ხოლმე საათში 31—32 ვერსს, შუადღისა-კი 23 ვერსს. პირველი მატარებელი ჩერდება სადგურზე სულ 7—8 საათს ბათუმიდამ ბაქომდე, მეორე-კი 4—5 საათს ბათუმიდამ ტფილისამდე. სხვა მატარებლები სხვა-და-სხვა ადგილებ შუა კიდევ უფრო მძიმედ დადიან. ქუთაისსა და რიონს შუა 20 ვერსის გავლას ერთს საათს უნდება, ფოთსა და სამტრედიას შორისაც ასე მძიმედ დადის, ბაქოსა და სურახანებ შუა 18 ვერსის გავლას უნდება ერთ საათს. ქუთაისსა და ტყიბულს შუა საათში მხოლოდ 13 ვერსის გავლას ასწრობს.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს უნდა გაერჩია ამ ზაფხულს საქმე სასამართლოს გამომძიებელ კამსარაკანის მოკვლის შესახებ ჯალალოღლში, მხოლოდ ეხლა ამავე სასამართლომ ეს საინტერესო საქმე გადასდო შემოდგომამდე და ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილება ამ საქმეს გაარჩევს შულავერს, სადაც იმყოფება მოწმეთა უმეტესობაც.

⁂ ამ უკანასკნელს წელს ჩვენს ქალაქში ძალიან გავრცელდა სახელოსნოები, სადაც იკერება ჩოხები, ან ახალუხები და ქულაჯები. ჩოხებს ადგილობრივის შალისას ჰკერვენ, რომელიც ჩამოაქვთ გასასყიდად ოსებს, ლეკებსა და სხვა მთიულებს. ამ ჟამად ეს შალები ისე კარგად იქსოვება, რომ რუსეთიდგანაც-კი იბარებენ მზად შეკერილს ჩოხებს, რომელიც იქ თურმე კარგ ფასად იყიდება.

⁂ უმთავრესს სამკურნალო დეპარტამენტს აწ უკვე მიუღია ცნობანი მთელ ამიერ-კავკასიიდგან იმაზე, თუ რამდენი კაცი მომკვდარა ხუთს ამიერ-კავკასიის გუბერნიაში და ერთს ოლქში მთელის მაისის განმავლობაში გადასადებ სატკივრებით. ამ ცნობებიდამ, სხვათა შორის, სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში მომკვდარა გადასადებ ავადმყოფობით სულ 42 ადამიანი, რომელთა შორის 22 ყვავილითა ყოფილა ავად, სახადით—7 და დანარჩენი სხვა-და-სხვა სატკივრით. ქუთაისის გუბერნიაში მომკვდარა სულ 21 კაცი. ყვავილით — 8, სახადით—7, დანარჩენი სხვა ავადმყოფობით. განჯის გუბერნიაში მომკვდარა 29 კაცი, ყვავილით—1, ქუთეშით—1 და დანარჩენი 27 სახადით. ბაქოს გუბერნიაში მომკვდარა 16 კაცი, ამათში 6 ყვავილით, 9 სახადით, დანარჩენი სხვა ავადმყოფობით. ერევნის გუბერნიაში მომკვდარა 52 კაცი, 28 ყვავილით, 1 სახადით, 21 წითელათი და დანარჩენი სხვა სატკივრით. ყარსის ოლქში მომკვდარა 10 კაცი, 6 ყვავილითა და 4 ქუნთრუშით.

⁂ ამას წინად გაზეთებში ლაპარაკი იყო, რომ ალგეთში გამოჩნდა ერთ გვარი ქვა, რომელსაც, როგორც ამბობენ, შეუძლიან ბივარიიდგან მოტანილის სალიტოგრაფიო ქვის მაგიერობა გასწიოსო. ეხლა, როგორც შევიტყეთ, ალგეთის ქვა გაუსინჯავთ სამხედრო ლიტოგრაფიის უწყებაში და მშვენიერის თვისებისა აღმოჩენილა. ეს ქვა თურმე ძალიან ადვილად ილესება, ადვილად იწერება ზედ ქიმიურის ტუშითაც და ყალამ-კარანდაშითაც და მაშინაზე დიდხანსა სძლებს, არა ტყდება და არა სქდება. იმის მოწმობა, რომ ეს ქვა კარგის თვისებისაა, უკვე მიუციათ თავ. დ. ბარათაშვილისათვის.

⁂ საჭიროდ მიგვაჩნია ვაცნობოთ მკითხველებს, თუ რამდენად არის გავრცელებული ფილოქსერა იმერეთში: ალისუბნის საზოგადოებაში თითქმის 150 დღიურშია აღმოჩენილი. საფილოქსერო დასი ეხლა საზანოს საზოგადოებაშია და აქ ბევრს ადგილას ჰპოულობს ფილოქსერას. ქუთაისში თითქმის ყველგან არის მოდებული და სვიმონეთში-კი, თუ ალისუბანზე მეტად არა, თორემ ნაკლებად არა მძვინვარებს საშინელი ვენახის მტერი.

საცა-კი ფილოქსერა მძვინვარებს, ვენახები მთელ-მთელი ქცევა არის გამხმარი და ბევრი აღარ არის საჭირო, რომ სულ მოისპოს.

ფილოქსერის დასი საზანოს საზოგადოების ვენახებს რომ გასინჯავს, არგვეთში გადავა, მერე სვიმონეთში და ბოლოს ქუთაისისაკენ გაემგზავრება.

⁂ ერევნიდამ გვაუწყებენ, რომ იქ გაჩენილა რაღაცა სატკივარი, რომელსაც უკვე უმსხვერპლია რამდენიმე კაცი. ეს ავადმყოფობა ორ-სამს დღეს გასტანს ხოლმე და ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფს სჭირს მუცლის ტკივილი ფაღარათი და გულის რევაო.

⁂ **სოფ. გორდი** (სამეგრელო): აქაური უცხოელი ვაჭრები, რომლებსაც ხე-ტყე გააქვთ რაჭის ბაზრის ტყეებიდამ, სჩივიან, რომ არა აქვთ რიგიანი გზები, რის გამოც ულპებათ მოჭრილი მასალა. მართალია, უცხოელი ვაჭრები თავიანთ ხარჯით აკეთებდნენ გზებს, ხოლო ეს გზები ამ უკანასკნელის წვიმების გამო სულ წაჰხდა. ვაჭრები არც ამას შეუშინდნენ და ახლა ისევ შეუდგნენ გზების შეკეთებას.

◆◆

მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ ორდენი წმ. ანნასი მესამე ხარისხისა:

სოხუმის ეპარქიის მღვდელს ნიკოლოოზ კირთაძეს და იმავე ეპარქიის მღვდელს იასონ ჩაჩანიძეს, რომელთაც მონათლეს და გააქრისტიანეს ასი სული აფხაზი;

გურია-სამეგრელოს ეპარქიის მღვდელს ნიკოლოოზ ინწკირველს დიდხანს სამსახურისათვის სხვა-და-სხვა თანამდებობაში.

იგივე ორდენი ებოძა სამსახურიდამ გამოსულს პორუჩიკს თავადს გიორგი ბაგრატიონ-დავითიშვილს, რომელმაც რამდენიმე ეკკლესია ააშენა საქართველოს საეგზარხოსოში.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სამეგრელო. არსად საქართველოში არა მგონია იყოს იმდენი ნაკურთხი და უკურთხი მონაზონი, რამდენიც სამეგრელოში. თითქმის ყოველს ეკკლესიაში შეხვდებით 2—5 სასენაკოს, სადაც მონაზნები სცხოვრებენ; ზოგან იმათი რიცხვი 10—15-მდე ადის. ამის მიზეზის გამოკვლევას ჩვენ აქ არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ ხშირად 15—16 წლის ქალი იცვამს შავ კაბას, ან ანაფორას და ბინავდება ეკკლესიის ეზოში. ხანდახან მშობლები 9—10 წლიდამაც აირჩევენ ხოლმე რომელსამე ქალიშვილს, ნამეტურ თუ ბევრი ჰყავთ, იქნება იმიტომ-რომ გათხოვება ეძნელებათ, და მონაზონს უწოდებენ. რასაკვირველია, ამ ნაირად გამონაზონებული ქალი, თუნდ თავის ნებითაც დადგეს საცხოვრებლად ეკკლესიის ეზოში, უმეტეს ნაწილად ბოლომდე ვერ უერთგულებს თავისს წოდებას და უწესოება მოხდება ხოლმე, ასე რომ ხშირად გაიგონებთ სამეგრელოში: ამა-და-ამ ეკკლესიის მონაზონს შვილი ეყოლაო. ამ უწესოებათათვის მიუქცევია ყურადღება სასულიერო მთავრობას და ეხლახან მოსვლიათ ადგილობრივ ბლალოჩინებს ბრძანება კანტორისაგან: აღეკრძალოთ ყველა მონაზონად წოდებულ ქალებს ეკკლესიების ეზოში ცხოვრება და დანიშნულ ვადაზე ყველანი განდევნილ იქმნან იქიდგანაო. ეს ძლიერ კარგი განკარგულებაა, ხოლო ჩვენ, როგორც საქმის მცოდნეს, გვინდა ერთს გარემოებას მივაქციოთ, ვისიც ჯერ არს, იმისი ყურადღება. საქმე ის გახლავსთ, რომ მონაზონთა შორის ბევრი ან მეტად მოხუცებულია, ან დაკუტებული—ხელ-ფეხ მოკლებული, რომელთაც აღარაფერი აღარ გააჩნიათ, გარდა თავიანთის სასენაკოებისა, და არც ვინმე ჰყავსთ, რომ თავი შეაფარონ და, რასაკვირველია, უწესოებასაც აღარ სჩადიოდნენ. კარგი იქნებოდა, ამისთანებისათვის მიექციათ ყურადღება და სხვა შავ-კაბა, შავ-თვალწარბა მეგრელ მონაზონთ გროვაში არ გაერიათ. მონაზნებს თურმე, წლოვანების განურჩევლად, განზრახვა აქვთ მთავრობას მიჰმართონ და სთხოვონ, ხსენებული განკარგულება გააუქმოს. რასაკვირველია, ეს ყოვლად შეუძლებელი იქნება, თუ იგი განკარგულება უუწმიდესის სინოდისაგან არის, ხოლო ეს-კი შესაძლებელია, რომ ადგილობრივ ბლალო-

არა გაიტანე შენი ნაწარმოები ბაზარშიო. იმას შეუძლიან დიდხანს შეინახოს თავისი ჭირნახული და უცადოს, მანამ არავინ მოვა და ხვეწნას არ დაუწყებს—გეთაყვა მოგვყიდეო. ათასში ერთხელ ასეთი შემთხვევებიც არის ხოლმე აღებ-მიცემობაში, მაგრამ უფრო ხშირად-კი ისე ჰხდება, რომ მახვეწარს თვალითაც ვერავინა ჰნახავს და ჭირნახული-კი დროს განმავლობაში ან ფუჭდება, ან იმედი კარგის მოსავლისა უფრო დაბლა სწევს ფასებს. ჩვენი გაუჭირებელი მეურნე ორ-წყალ შუა ჰგრძნობს თავის თავს—შეინახოს ჭირნახული, ვაითუ ფასებმა არ აიწიოს; ეხლავ გაყიდოს კიდევ-და, უნდა იზარალოს, თითქო გაჭირებულ სოფლელის ყოფაში იყოსო. უმეტეს ნაწილად ისე მოხდება ხოლმე, რომ გაუჭირებელი სოფლელიც ეტანება ბაზარს გაჭირებულსავით და ჰყიდის თავის ჭირნახულს გაკვეთილ ფასებზე, ეხარბება მუშტარს—ვაითუ შემდეგ ამოდენა მუშტარიც აღარ იყოსო და ფასმაც უფრო იკლოსო. დალპობასა და ან სულ მუქთად გადაყრას ისევ დღევანდელის ზარალით გაყიდვა მირჩევნიანო.

**

ასეთს შეუშურვებელს დღეში აყენებს ჩვენი ბაზარი სოფლის მეურნეობას და ამისთანა გარემოებაში ჩააგდეთ გინდა ქართველი, გინდა ფრანგი, გინდ სომეხი და გინდა ურია, ყველას გაუჭირდება საქმე და ყველანი კეთილდღეობას ისე მოშორებულნი იქნებიან, როგორც დედამიწა ცას. მიზეზიც ეს არის, რომ დღეს ისე გაურბის ყოველი უცხო ვაჭარი ჩვენის სოფლის მეურნეობას—მოსული ხალხია და ისეთს საქმეს ეტანება, საცა გამორჩომას რასმე დაინახავს, შეჰკრავს ფულს და ზურგი მაგარი ექნება. ჩვენი ბაზარი-კი ისე უჭირებს საქმეს მეურნეობას, რომ ამითი ზურგის გამაგრება რაღაც აუსრულებელი ოცნებაა და ამისთანა ოცნებათ დარჩება იმ დრომდე, სანამ სოფელი თითონ არ ინაღვლის ხსნას, სანამ იმისი აღებ-მიცემობა არ დაადგება სათანადო გზას.

იქნება იფიქროს ვინმე, ვითომ ამ ყოფას არა ეშველებოდეს-რა, ვიდრე ჩარჩები და ვაჭრები ხელს არ აიღებენ სოფლელის მოტყუებაზე და სინიდისიერ ფასებს არ შეაძლევენო. ამას რომ ველოდოთ, იმას ეგვანება—აცა როდის შეჯდება მწყერი ხესაო. კაცისთანა ხარბი და გაუმაძღარი სხვა არა ცხოველი არ გაუჩენია ღმერთს. რამდენი ადვილად და იეფად შეიძენს საცხოვრებელს, იმდენი მონატრეა, რომ უფრო ადვილი და უფრო იეფი სახსარი იშოვნოს შეძენისა, ბუნებას გამორჩება ამ ქონებას, თუ თავის მეზობელს, ეგ სულ ერთია იმისთვის. ამისთანა ფარგალში მოთავსებული სინიდისი ჩარჩისა და ვაჭრისა ვერაფერი თამასუქია ქართულ სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად, რომელ ერსაც უნდა ეკუთვნოდეს ჩარჩი, თუ ვაჭარი, იქნება იგი თათარი, სომეხი, ურია, თუ ფრანგი, განსხვავება არა იქნება-რა, ყველანი იმას ეცდებიან, რომ რაც შეიძლება იეფად გამოიტანონ საქონელი და რაც შეიძლება ძვირად გაჰყიდონ. უმთავრესი აზრი და საგანიც აღებ-მიცემობისა ეს არის. ამ აზრით გამოდის ბაზარში ვაჭარი, ამავე აზრით გამოდის სოფლელი მწარმოებელიც. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომელს უფრო უჭირს—სოფლელს ფული, თუ ვაჭარს საქონელი. ან ორივენი ერთ ნაირად უნდა იყვნენ გაჭირებულნი, ან არც ერთს არა ჰქონდეს დანა ყელთან მიმდგარი და მაშინ ორივენი თანაბარს მოგებასა თუ ზარალში იქნებიან. უამისოდ-კი შეუძლებელია, რომ ერთმა არ იზარალოს საგრძნობლად და მეორემ არ გაიკრას ბარაქიანი ლუკმა.

**

დღეს ჩვენი ქართული სოფელი ისეთს დღეშია, რომ ამან უეჭველად უნდა იზარალოს თავის აღებ-მიცემობაში, უთუოდ ისე უნდა იყოს, რომ თუმცა სოფელი ნაწლევებზე იდგამს ფეხსა და წელ-აუხრელი შრომობს, მაგრამ ეს შრომა თვით სოფელს-კი არ წამოაყენებს ფეხზე, არამედ იმას გაშლის და გაჰმართავს, ვინც შუამდგომლობას უწევს მხმარებელსა და მწარმოებელს. ეს ასეც იქნება, ვიდრე ჩვენი სოფელი ძირეულად არ შესცვლის წესს თავის აღებ-მიცემობისას.

რა გვარად უნდა შეიცვალოს ეს წესი, რომ სოფელი თავის შრომის ფასსაც გამოარჩეს ქალაქს, ანუ მხმარებელს, და მცირეოდენი მოგებაცა ნახოს, რომ თანდათან წარმატებაში ჩააგდოს თავისი მეურნეობა და აამაღლოს საკუთარი კეთილდღეობა.

ეს ისეთი საგულისხმიერო საკითხია, რომ ყოველი მოკეთე ჩვენის სოფლისა გულ-მხურვალედ მოეკიდება ამ საქმეს და ჩვენთან ერთად არ დაჰზოგავს თავისს ცოდნასა და გამოცდილებას, რათა საგანი ჯეროვნად იქმნას გამოკვლეული ჩვენის სოფლისათვის, მიიღებს შრომას და გაგვიზიარებს თავის აზრსა და შეხედულობას ამ საგნის შესახებ.

დღეს-კი იმითი გავათავებთ ჩვენს წერილს, რომ უმთავრესი საშუალება, რათა ძირეულად შეიცვალოს წესი ჩვენის ბაზრისა და აღებ-მიცემობისა, მდგომარეობს იმაში, რომ მწარმოებელი დაუახლოვდეს მხმარებელს და შეამციროს რიცხვი ურიცხვის შუამავლისა და ჩარჩ-დალალსა. ეს დაახლოვება მწარმოებლისა და მხმარებლისა მით უფრო მოსახერხებელია, რომ ორივენი ერთს ტაფაში იწვიან, ორივენი იჩაგრებიან შუამავლის მიერ, რომელიც იეფათა ჰყიდულობს და ზარალს აძლევს მწარმოებელს, ძვირათა ჰყიდის და აზარალებს მხმარებელს. ორივე მხარე ზარალშია და მოგებასა ჰხედავს მარტო შუამავალი. როგორც მწარმოებლისათვის, აგრეთვე მხმარებლისათვის სასარგებლო იქნებოდა, რომ ეს მოგება, თუ სრულად არა, მომატებულ ნაწილად მაინც, თითონვე დარჩენოდათ ხელში. ქვეყნის სიმდიდრეც მაშინ იკეთებს მკვიდრს საძირკველს, როდესაც მოგებაში იქნებიან მწარმოებელნიცა და მხმარებელნიც. მეურნეობის წარმატებაც მხოლოდ ამისთანა გარემოებაშია მოსალოდნელი.

შემდეგს წერილში ვეცდებით გამოვარკვიოთ, როგორ უნდა მოხერხდეს ეს საჭირო და სანატრელი დაახლოვება მწარმოებელ-მხმარებლისა.

სანო

ჩინებს დაავალებდნენ მარტო ღირსეულთ გამორჩევას და ამით ღვთის ანაბარა არ დასტოვებდნენ იმათ, ვისაც თითონ ქრისტე ეუბნება: «მოვედით ჩემდა, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე განგისვენოთ თქვენ».

ოდიშარია

ქ. გორი, 23 თიბათვე. ამ თვის ოც-და სამს გორის „სობრანიის“ დარბაზში იყო გამართული ქართული კონცერტი იმ ხოროსაგან, რომელსაც ადრე უწოდებდნენ აღნიაშვილის ხოროს და ეხლა დაურქმევიათ „ამხანაგობის ხორო“. ხოროში მონაწილეობას იღებდა ბ-ნი რატილი. საზოგადოება ცოტა დაესწრო და შემოსავალიც, როგორც ეტყობოდა, არ იყო ბევრი. საზოგადოება ცოტა დაესწროვო, ვსთქვით, და აი მიზეზიც: ზაფხულის გამო გორელები ბლომად არიან გასულნი სოფლად. ვინც აქ იყო, იმანაც ვერ გაიგო ნახევრობით, რადგანაც აფიშები იმ დღეს გაიკრა, რა დღესაც კონცერტი იყო დანიშნული. რადგანაც ჩვენ ამდენს ხანს სტამბა არა გვქონდა წარმოდგენებისა და კონცერტების დადგმის დროს, აფიშებს არც-კი ვაკრავდით ქუჩებში, ასე რომ აქაურს ხალხს ისე არა აქვს თვალი შეჩვეული აფიშებზე, როგორც სხვა ქალაქებისას. საზოგადოება ცოტა დაესწრო და ვინც დაესწრო, ისიც ქართველობა იყო. კონცერტმა იმაზე უკეთ ჩაიარა, როგორც გაგვიგონია წარსულს წლეებში ქალაქსა და გორში. თუმცა ის ეფექტი არა ჰქონდათ გარეგანის შეხედულობით ჩოხებში, როგორც ქულაჯებში, მაგრამ ამ ქართულს კონცერტს ესეც ძალიან ჰშვენოდა. პირველს გამოსვლაზე მაყრულით გამოვიდნენ და წინ ბ-ნი რატილი მოუძღოდათ. ამ ხოროს ერთი კარგი რამ შევამჩნიე. იმის მიხედვით, სადაურიც არის სიმღერა, დამწყობი არის: ქართლელი, კახელი, იმერელი, გურული, მეგრელი და, თუ არა ვსცდები, მგონი აფხაზიც. ეს მეტის-მეტად საჭიროა ამ ხოროსათვის, რადგანაც თითოეულს ამათგანს უფრო კარგად ეცოდინება თავის მხრის სიმღერის ბუნება და ხასიათი. იმერულს სიმღერას ყოველთვის იმერლის ხმა უფრო მოუდგება, ვიდრე ქართლელისა, ანუ კახელისა... გამოჩნდა თუ არა ბ-ნი რატილი სცენაზე, ხალხმა შექმნა ტაშისცემა და „ვაშა“, „ვაშას“-ს ძახილი, ასე რომ სიმღერის თქმაც არ დააცალეს. ხალხი აღტაცებაში მოვიდა, როცა უცხო კაცი, ტომით ჩეხი, მღეროდა: „ქართველო, ხელი ხმალს იკარო“... ამ საღამოს „პროგრამას“ შეადგენდა ქართული სიმღერები, იმერული, გურული, მეგრული და ევროპის კილოსი.

ს. გ.

◆◆

სცენები

სცენა ბარში

II

გიგო (დახლიდარს). კაი ღვინო გაქვს ბიჭო?

დახლიდარი. კაი ღვინო გახლავთ. დაბძანდით, ღვინო მოგართოთ იმისთანა, როგორც რძე.

გიგო. ზაკუსკეულობა გაქვს რამე?

დახლიდარი. კაი სათალი, ახალი თევზი, კვერცხები, კაი ყველი.

გიგო. აბა ჩამოასხი ნახევარ თუნგი ღვინო და ყველაფრიდამ, რაცა გაქვს, ზაკუსკა გააკეთე. (სვიმონს) სად გვირჩევნია დავსხდეთ?

სვიმონი. მწვანეზე... ამ შეხუთულს ჰაერში რაზვე მოჟნო სიდეტ?

დახლიდარი. დუქნის უკან ჩარდახი გახლავსთ... ბაღჩა მაქვს, გნებავსთ მიბძანდით.

გიგო. კარგი იქნება... მამა-პაპურად მწვანეზე მოვიკეცოთ (გადიან გიგო და სვიმონი მწვანეზე. დახლიდარი გაუშლის სუფრას და ბოთლებით ღვინო მოაქვს).

სვიმონი. რა მშვენიერი სურათია: ეს მთები, ეს არაგვი, ეს ტყე და ველები, წყაროები... (დახლიდარს მოაქვს ახალი თევზი) ა ვოტ ეშჩო! (ჰკიდებს მურწას ცხვირზე ხელს) ეს ხომ პოეზიის მწვერვალია!..

გიგო. ჩვენის ქვეყნისთანა ლამაზს ქვეყანაზე რომელ მხარეს შეხვდები. (ასხამს ჭიქაზე ღვინოს) ჯერ თუნდ მარტო ეს ავიღოთ (დალევს):

ღვინოვ კახურო, ვარ შენი მსმელი,
გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი!

ეს ღმერთმა აღდეგძელოს ის ვაზის ძირი, რა ვაზის ძირიც ამ ღვინოს აყენებს. ღმერთმა აღდეგძელოს ჩვენი მამა-პაპა, რომ თავის ხმლითა და სისხლით შეგვინახეს თავის შვილებს მიწა-წყალი და სხვის ხელთ არ ჩააგდეს...

სვიმონ ამენ! ამენ! ამენ!

გიგო. (ხელს აიღებს მაღლა, თითს იქნევს და ამბობს):

სხვა საქართველო სად არი,
რომელი კუთხე ქვეყნისა...

ალავერდი შენთან, სვიმონ!

სვიმონი. იახში ოლ! (ასხამს ჭიქაზე ღვინოს და იმეორებს გიგოს ნათქვამს სადღეგძელოს) და ზდრავსტვუეტ ისტინა ი სპრავედლივოსტ. გაუმარჯოს სინიდისსა და პატიოსნებას!

გიგო. გაუმარჯოოოს! გაუმარჯოოოს!.. კარგია, მაგრამ, საუბედუროდ, ცოტანი არიან ჩვენში სვინიდისიანები. ახ! (იცემს გულზე ხელს) ერთი ყველას ჩემი გული ჰქონდეს, მაშინ ჰნახავდი როგორ ჩარხივით დატრიალდებოდა ჩვენი საქმე! მაგრამ სად არის, ტყუილად მეც ჩემს გულს ვაჭლექებ...

სვიმონი. ნამდვილს ბძანებთ, გიგო, ნამდვილს. ყველა რომ თქვენისთანა და თუნდ ჩემისთანა იყოს, მაშინ ერიჰაა, ერიჰაა, განა კუს ნაბიჯით ვივლიდით, გავჭენდებოდით.

გიგო. ჩემი გული ჰკნება, დნება, კვდება, როცა ჩვენს ქართველებს ვუცქერი. ოჰ, ოჰ, ოჰ!.. (დაიკრავს გულზე ხელს).

სვიმონ. ერთი რა უნდა მეკითხა, გიგო, შენთვის. იმ მთიულებს როგორ დაეღწიე? მოურიგდი? რამდენს ლაპარაკობდნენ, რამდენს ჰყონჰყილობდნენ. მიეცი სვია?

გიგო. საქმე გავუთავე. ტი მაიო უბეჟდენიე ზნაეშ, კანეჩნო? მე ხალხი მებრალება... ორი თუმანი გამოვართვი და სვია სულ იმათ მივყიდე.. ხალხი უნდა გვებრალებოდეს, ნელზია ბეზ ეტოგო. (აიღებს მარჯვენა ხელს, იქნევს თითს ცხარედ, თვალებს აწკეტავს და ისე ამბობს);

თუ ბედში მყოფი შენ მძად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია;
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!

კანეჩნო! (ამ დროს ხევსურები გამოჩნდებიან, ჯორებზე სხედან და ჯორებზედვე ტომრები უკიდიათ. დუქანთან მოდგებიან).

ხევსურნი. გამარჯვება მედუქნევ!

დახლიდარი. გაგიმარჯოსთ! საით მიემგზავრებით, ბიჭო!

აბიკა. გიგოსთან მავდივართ. სვე რაიმ შაგვაპირ, იმის წასატანად წამაველით, ჯორ-ულაყნიც იმისად წამავასხით.

დახლიდარი. გიიო აქ არის, პურს მიირთმევენ ისა და ერთი ვიღაც სხვა ჩინონიკი.

ხევსურნი. იჰი, იჰი, სად აას?

დახლიდარი. ბაღჩაში სხედან, ემან დუქნის უკან.

უნცრუა (ხევსურთ) წავიდათ, ენახათ.

ხევსურნი. წავიდათ, წავიდათ, კარგი, თუ შინ სიარულ აღარ მაგვინდ. (მიდიან გიგოსთან და უცებ თავს წაადგებიან. გიგოს ნაცრის ფერი გადაჰკრავს ცოტა ხანს, მაგრამ ერთს წამსაც არა გრძელდება მისი ამ ნაირი მდგომარეობა, რადგან შუბლზე გადისვამს ჯერ ხელს, მერე წვერზე ჩამოისვამს და ახლა ულვაშების მწკაზვრასა და წკეპას მოუნდება) გიგოსაც გაუმარჯოს, გიგოსაც გაუმარჯოს, გიგოს გაუმარჯოს (მაღალის ხმით დასძახიან ხევსურნი გიგოს თავზე).

გიგო. აი გაგიმარჯოსთ, ჩემო ძმებო! ოჰ, რა გამიხარდა, რომ კიდევ თვალით დაგინახეთ (ერთმანეთს მოიკითხავენ დიდის ამბით). აბა ღვინო მიირთვით, ძმანო, ზოგიც მერე ვიუბნოთ (გიგოც ხევსურების წესზე სცდილობს მოიქცეს, რადგანაც იმათი მძაა, მძად გაფიცული). ხევსურები სვამენ ღვინოს. თითოეული მათგანი გრძელს სიტყვასა და დიდს შესხმას უბნება გიგოს და გიგოც თავის მხრით არ აკლებს იმათ ქება-დიდებას).

აბიკა. (დასცლის ღვინიანს ჭიქას, ერთს მადიანად ამოაბოყინებს და გადასცემს გიგოს) ეგ (უჩვენებს სვიმონზე) ვინაღ-ას, გიგოო!

გიგო. ეს ახლად რუსეთიდამ ჩამოსულია, კაი ქართველი ბიჭი, ნასწავლი, ეს ორი თვეა, რაც სამსახურში შევიდა.

აბიკა და სხვანი ხევსურნი (გაკვირვებით შესცქერიან სვიმონს, რომელიც გაიბღვირება). იჰი, ხემწიფესთან ნამყოფ იქნების ეგე!.. რა რიგ რა ადგილ იქნების ი რუსეთი? შორს არია აქით?..

სვიმონი. სამი თვე უნდა იარო ცხენით ზედი-ზედ, მანამ ჩახვალ.

აბიკა. მაშ ხემწიფესთან არ იყავა შენ?

გიგო. მარჯვენა მხარეს უმშვენებდა ხემწიფეს, როგორ თუ არ იყო?

აბიკა. ეტყობის-კი, ნიადე ეტყობის მაგას. აბაბაბა რამოდენ წყალ-ადგილ გაუჩენავ, გიგოო, იმ დალოცვილს ღმერთს...

უშიშა. აბა, ჩვენ სიცოცხლეი ქვე რა სიცოცხლეია!

გიგო. თოთია როგორ არის, ხო არა უჭირს, ბალღებს ხო არა უტკივა.

აბიკა. შენ მტერს იყვას, რო ისა ას, გიგო, თოთია გაგრილდ.

გიგო. (იღიმება და ჩუმად: ქვეყანა დაიქცევა!) ღმერთმა აცხონოს, საწყალი თოთია, აფსუს ვაჟკაცო, აფსუს!

უშიშა. ღვევ მახიბლ, გიგოო, თოთია. სათიბრად წამასულიყო თავადიშვილისად რაისადამ ეთიბ, იმას დატყუებით კამეჩის ხორცი ასავ, ღორის ხორც ეჭმივა... ხატს სწყენიყვ ისი, საშინაოდ მამავლისად დევ მიე სივ, დაეხელთ, ორ დღეის ქვე ველარ იცოცხლ, ნიადე მაკვდ-გაგრილდ.

გიგო. მე-კი სისხლით გავინათლე, დევისა აღარ მეშინიან, თორემ ძლიერ საშინელი სულიერი კია ის დასაქცევი დევი!

უნცრუა. რას არა, გიგო, ნახევარ ხევსურეთ დევთაგან ვართა დაწიოკებულნ: სად ქვას გვესრევს, სად-სად კლდეზედ გადაღვლევს. დიდს დაღონებაჩი ვართ დევთაგან.

გიგო. ეხლა ეს მითხარით, ჩემო ძმებო, საისკე მიემგზავრებით. მარილის სასყიდლად იქნებით წამოსული ქალაქს.

ხევსურნი. არა, გიგოო! სვეის წასატანად წამაველით შენთან.

გიგო. ვაი შენ ჩემო თავო, რომ შაერცხვი თქვენთან, ძმებო, შამარცხვინეს იმ წუწკმა მთიულებმა, ჩამოსულან, ჩუმად შეპარულან ჩემს ჰალაში, დაუკრეფიათ და გაპარულან. გვიან-ღა გავიგე, დავადევნე ბიჭები, მაგრამ ველარ მოსწეოდნენ.

ხევსურები. (აღელვდებიან და შეუდგებათ ჩოჩქოლი) არ გაუტევეთ იმათ ქვე ჩვე ცოცხლებს, რა ხელი ჰქონდ იმათ ჩვენს სვესთან, იმ ძაღთ, იმათ! სადაველი მთიულები იყვნენ.

გიგო. მგონია მლეთელები ყოფილან, კარგად არ ვიცი.

აბიკა. შასხედით ხევსურნო ჯორულაყებზე, მიუხდეთ, სოფელჩი, თემჩი მიუხდეთ იმ მკვდარ-ვირიანთ იმათ!.. (შესხდებიან ჯორებზე და ერთი მეორეს აღარ აცლის, გარბიან. გიგო ადგება და ტყეში მიდის, იმალება. სვიმონი რჩება მარტოკა).

სვიმონი (მარტოკა) რასა სჩადის ეგ კაცი? მართალი უთხრას, ლამის ხალხს ერთმანეთი ამოაწყვეტინოს? (ნახევარ საათს შემდეგ ხევსურები ისევ უკან მოვლენ, მოდგებიან დუქნის კარებზე, სვიმონიც დუქნის ოთახში იმალება).

ხევსურნი. (დახლიდარს) რა იქნ, გიგოი?

დახლიდარი გიგო შინ წავიდა (ხევსურებმა აღარ იციან რა ჰქნან).

უშიშა. (დახლიდარს) მაიღ, ორის აბაზის არაყ დაგვისხ. (დახლიდარი უსხამს, ხევსურები სმენ. აბიკას) არ სტყუოდ, გუდანის-ჯვრის გამარჯვებამ, ლერენაი, სუ შენ საქმეი ეს, ბუმბულავ, შაგვაცდინ-მაგვაცდინენ, არ გცხვენიანა, კა ძმობა გაგიწივ გიგომა. რაგორად მივიდეთ ხევსურეთა, რას გვეტყვიინ. ძაღ ჰყოფილხარ შენ, ცოცხალ გასატევ არ ხარ შენ.

უნცრუა. არა ას ცოცხალ გასატევი, ნურც გაუტევთ ამას-კი ცოცხალ.

ძაღლიკა. არ ას სასიცოცხლოი, ღმერთისმა.

აბიკა. თქვენ რაისასაღ უნბობთ, ნეტარ! ჰკვა დაიტადნეთ, ხელნ ხო არ ხართ!

უშიშა. (იწვდის ხმალს და იმასთან ერთად ძაღლიკა, უნცრუა დაუტევენ აბიკას. აბიკაც იმართება ფარ-ხმლით) შენ სისხ ჩემს თავს იყვას, მკვდარ-ვირიანო! (მოუქნევს ხმალს, მაგრამ აბიკა ფარს შაუშველებს უშიშას ხმალს, ამ დროს უნცრუა დაჰკრავს თავში ხმალს აბიკას და სისხლი იწყებს გადმოდენას).

უნცრუა. (აბიკას) ემაგას დაგკრავ, უნცრუას მეძახან მეა.

ძაღლიკა. (მოუქნევს ხმალს აბიკას) დაკრულ ეგეთაიც არ უნდ. სოფლისა, თემის მოღალატეს ძაღლურად სიკვდილ შაუხდების (სცემს ხმალს მხარში)

აბიკა. (იგერებს ხმლით და ფარით მტრებს) გცხვენოდესთ, ხევსურნო, რა ონაი ჰქენით ჩემზე!

უშიშა. (დაჰკრავს ხმალს აბიკას თავში) ეგ ონა ვქენით, მოღალატეო, მკვდარ-ვირიანო, ვერ ხენავა?!

(აბიკა გონ-მიხდილი დაეცემა დაბლა).

ვაჟა-ფშაველა

◆◆

წვრილი ამბები

როგორა სვამდნენ და სჭამდნენ უწინ

ქვეყნის შექმნიდგან მე-XVII საუკუნემდე ადამიანიშვილი თითებით სჭამდა, ჩანგლის ხმარება არ იცოდა და მხოლოდ იშვიათად მოხდებოდა, თუ ვინმე იხმარებდა ჩანგალსა და კოვზს.

ცეზარის მშვენიერს რომში, ლუკულის ნადიმზე, რომელსაც მთელს ქვეყანაზე სახელი აქვს გავარდნილი თავისის აურიცხველის სიმშვენიერითა და სიმდიდრით, სტუმრები სირცხვილად არა სთვლიდნენ თითების ჩაყოფას საჭმელში, ერთის რომელისამე ნაჭრის ამოღებას და კბილით ღრღნას... თითქმის ასეთივე ჩვეულება ჰქონდა ფრანცისკ I სასახლეში, ჰენრიხ II-სა, ლიუდოვიკ XIII-სა და, ასე წარმოიდგინეთ, ლიუდოვიკ მე-XIV-სას-კი. თუმცა ეს ამბავი ცოტა ეოცება ადამიანს, მაგრამ მართალი-კია, და თუ შემდეგში მხატვრები თავისს სურათებზე ადამიანიშვილს სადილის დროს ჩანგლითა ჰხატავდნენ, ამით მხოლოდ ის დაამტკიცეს, რომ ისტორია ცუდად იცოდნენ.

თუმცა უწინ ჩანგალ-კოვზს არა ჰხმარობდნენ, მაინც მაშინაც იყო თურმე ზრდილობის კანონი და წესი და რიგი გარეგანის ყოფა-ქცევისა. მაგალითებრ, საჭმელში მთელის ხელის ჩაყოფა უზრდელობად ითვლებოდა, მჭამელს სამი თითი უნდა ჩაეყო და ისიც იმ პირობით, რომ დიდხანს არა სჭერიყო საჭმელში და ნაჭრის არჩევანში არ შესულიყო.

ზრდილობიანობის წესი და რიგი, სუფრის მოწყობილობა და სუფრა-ტილოები მხოლოდ XVI საუკუნეს შემოცვალა ცოტა. ჩანგალი პირველში ჰენრიხ მე-III ზოგიერთმა ახირებულმა მეგობრებმა შემოიღეს. დანარჩენნი-კი ისევ ძველს წესს მისდევდნენ, სამის თითით სჭამდნენ, სასტიკად ადგნენ იმ წესს, რომ „როცა თითები ქონიანი აქვს ადამიანს, ხელის ტილოსა და ან სუფრაზედ უნდა გაიწმინდოს, არა ტანისამოსზე და, ამას გარდა, არ უნდა გაილოკოსო“.

ეხლახან გამოვიდა წიგნი საფრანგეთის ისტორიკოსის ალფრედ ფრანკლენისა, რომელიც აწერს საფრანგეთის ძველთა წესთა და ჩვეულებათა მე-XII საუკ. მე-XVIII-მდე. ამ ისტორიის მე-VI ნაწილში ფრიად საინტერესოდ არის მოთხრობილი წეს-რიგი უწინდელის ნადიმობისა.

სუფრაზედ ადგილის დაჭერა ხარისხოვანებაზედ იყო დამოკიდებული, ხარისხით მცირე ხარისხით უფროსის შემდეგ იჯდა, ხოლო თვით სახლის უფროსს-კი უეჭველად ზურგი უნდა შექცია ბუხრისათვის და ისე დამჯდარიყო.

13 რიცხვი მაშინაც ცუდ ნიშნად მიაჩნდათ და ამ რიცხვს უკავშირებდნენ იუდას, რომელიც მეცამეტე იყო საიდუმლო სერობაზედ. ჰერცოგი ლიუინი სწერს თავისს მატიანეში, რომ ერთხელ ლიუდოვიკ მე-XV სუფრაზედ მეცამეტე იყო და მთელი სადილი აუ-გუნებად გაატარაო, თუმცა იმ დროს ისეთნიც ყოფილან, რომელნიც ამ ამაოდ-მორწმუნებას არ მისდევდნენ თურმე და მარილის დაწვევა-კი არ მიაჩნდათ ცუდ ნიშნად.

სუფრად დაჯდომამდე ხელის ბანვის

ჩვეულებას, რომელიც ჩვენშია გავრცელებული და რომელსაც მთელს ევროპაშიაც მისდევენ, ინგლისს გარდა, შუა საუკუნეებში აქვს დასაწყისი. მაშინ ყოველ საჭმლის ჩამორიგებაზე უეჭველად ხელს იბანდნენ. სტუმრებთან მარცხენა ხელით ოქროს, ან ვერცხლის თასი მიჰქონდათ და ხელებზედ სურნელოვანს წყალს უსხამდნენ. მდაბიო ხალხში ამ ჩვეულებას ისე რიგად მტკიცედ არ მისდევდნენ და თვით ნაპოლეონიც-კი მხოლოდ ერთხელ იბანდა, სადილს წინად.

საჭმელი სტოლზედ დახურული იყო იმ დრომდე, ვიდრე ყველა სტუმრები არ მოუსხდებოდნენ სუფრას. სუფრა ყოველ სადილს უკან უნდა გამოეცვალათ ხოლმე, რადგან სტუმრები ზედ ხელებს იწმენდნენ და ამიტომ შესაბრალისის შეხედულობისა იყო. მაშინ არამც თუ შემწვარსა სჭამდნენ თითებით, არამედ წვნიანსაც-კი სულ ორ-სამს ჯამში მიირთმევდნენ. ამ საუკუნის დასაწყისამდეც-კი შემწვარს უჩანგლოდ შეექცეოდნენ.

თუ რა ძნელად შემოდიოდა ჩანგლის ხმარება, ნათლადა სჩანს იქიდგან, რომ კარლ მშვენიერის მეუღლეს (1324 წ.) და კლემენცია უნგრიელისას თითო ჩანგალი ჰქონდათ, ხოლო ტურის ჰერცოგინიას — ორი. კარლ მე-V (1380 წ.) სულ ცხრა ოქროს ჩანგალი ჰქონდა და ორი ვერცხლისა, კარლ მე-VI (1418 წ.) სამი ჩანგალი ხილისათვის და ამისთანავე სამიც შარლოტა დ'ალბრეს (1514 წ.).

იტალიელებმა და გერმანელებმა ჩანგლის ხმარება ასის წლით ადრე დაიწყეს ფრანგებზედ. ინგლისელმა კორიეტიმ თავისის იტალიაში მგზავრობის დროს ჰნახა „ახირებული, მოუხერხებელი და საშიში“ იარაღი ჩანგალი და ფრიად გაოცდა, ხოლო შემდეგ მიეჩვია, სასარგებლოდ დაინახა, წაიღო ინგლისში და ამის გამო დიდად სასაცილოდ აიგდეს. ანნა ავსტრიისა ვერ იქნა, ვერ მიეჩვია ჩანგლის ხმარებას და თავისის მშვენიერის თითებითა რჩეობდა საჭმლის ჭამას.

ჩანგლის ხმარება უფრო მკვიდრად მხოლოდ წარსულ საუკუნის დამლევს შემოვიდა. აქვე მოვიყვანთ ზოგიერთ სანადიმო წეს-რიგს, რომელსაც ძველი ზრდილობა მოითხოვდა:

„ვიდრე სხვა იღებს საჭმელს, შენ უნდა მოითმინო“.

„საჭმელში დიდხანს არ უნდა გქონდეს თითები ჩაყოფილი“.

„თუ შენთან მჯდომს ხორცი ცოტა შეხვდეს, გაუნაწილე შენ მიერ წამოღებული დიდი ნაჭერი“.

„ხორცი მხოლოდ სამის თითით უნდა აიღო. პირში პატარ-პატარა ნაჭრები ჩაიდე და პირში ლუკმის მისატანად ერთი ხელი იხმარე და არა ორივე ერთად“.

„რამდენიც-კი შეგეძლოს, სჭამე, მასპინძელს ნუ დაჰზოგავ, რადგან თუ მეგობრისასა ხარ—ესიამოვნება, თუ მტრისას—მეგობრად მიგიჩნევს, რაკი კარგად მიიღებ იმის მასპინძლობას“.

◆◆

დეპეშა

27 თიბათვე

პეტერბურგი. როგორც ისმის, სახელმწიფო ხარჯის აკრეფის ინსპექტორებს დაავალებენ, რომ თვალ-ყური ადევნონ სოფლის სხვა-და-სხვა საკრედიტო დაწესებულებას და სოფლის მოხელეთა მოქმედებას გლეხთაგან ფულის მოკრეფასა და დახარჯვაში და აგრეთვე სასოფლო ფულის ხარჯვაში.

პარიჟი. ლაგერისა და დერულედის მოგზაურობამ კვირასა და ორშაბათს დორდონის დეპარტამენტში გამოიწვია თანაგრძნობისა და წინააღმდეგობის მანიფესტაციები. გუშინ მონტრენში ჩხუბი მოუვიდათ ბულანჟელებსა და ბულანჟეს მოწინააღმდეგეთ.

პეტერბურგის ბირჟა, 27 ივნისი

	მყიდველნი		გამყიდველნი		გაყიდულნი	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	—	„	—	„	7	81
ტამოჟნის კუპონები . .	—	„	—	„	156	
მანათიანი ვერცხლის ფული	—	„	—	„	1	13
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	268		—	„	—	„
—მეორისა	—	„	—	„	243¾	
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა . . .	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	„	—	„	—	„

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულ-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის განცხადება

1) მომავალის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის პანსიონში დანიშნულია ოთხი ვაკანსია ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ვისაც კენჭი ერგება ამ ვაკანსიებისა და წლოვანების შესაფერ ეგზამენსაც დაიჭერს მოსამზადებელის კლასის განყოფილებებში შემოსასვლელს, იგი მიღებულ იქმნება საზოგადოების სრულს ხარჯზე. კენჭი ჩამოეტარება მხოლოდ იმ თავად-აზნაურთა შვილებს, რომელნიც ბანკის დამფუძნებლად ირიცხებიან. ხსენებული ოთხი ვაკანსია სკოლის კომიტეტის მიერ განაწილებულია მაზრებს შორის ამ რიგად: თელავის მაზრისათვის არის დანიშნული ერთი ვაკანსია, სიღნაღის მაზრისათვის—ერთი, ერთია ტფილისისა და დუშეთის მაზრებისათვის და ერთიც გორის მაზრისათვის. ამას გარდა დაწესებულია, თანახმად საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა, ყოფილის თავმჯდომარის გენერალ-ლეიტენანტის კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილის სახელზე ორი ვაკანსია, რომელზედაც მიღებულ იქმნებიან ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილები.

2) საზოგადოების ნახევარს ხარჯზე მიღებულ იქმნება ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრის ღარიბ თავად აზნაურთაგან ცხრა ყმაწვილი, რომელნიც ვალდებულნი იქმნებიან შემოიტანონ წელიწადში ათ-ათი თუმანი—ხუთი შემოსვლისათანავე და ხუთი იანვარში.

3) პანსიონერები მიიღებიან საკუთარს ხარჯზედაც და ამათ უნდა შემოიტანონ წელიწადში ოც-ოცი თუმანი — ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

4) საზოგადოდ სკოლაში შემომსვლელთათვის იქნება ოთხმოც-და-რვა (88) ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—ოც-და-თვრამეტი (38) შვიდისა და რვა წლის ყმაწვილებისათვის, მეორე განყოფილებაში — თხუთმეტი (15) 8 და 9 წ. ყმაწ; მესამეში—ცხრა (9) 9 და 10 წლის ყმაწვილ. და მეოთხე განყოფილებაში—ექვსი (6) ვაკანსია 10 და 11 წლის ყმაწვილებისათვის; პროგიმნაზიის პირველ კლასში- ათი (10) 11 და 12 წლის ყმაწვ. და მეორე კლასშიაც—ათი (10) 12 და 13 წლის ყმაწვილებისათვის.

5) გარედგან მოსიარულეთ შემოაქვსთ სწავლის ფასი წელიწადში თორმეტი მანეთი იმავე წესით, როგორც პანსიონერები იხდიან ხარჯის ფულს, ე. ი. ნახევარი ენკენისთვეში უნდა შემოიტანონ და ნახევარი იანვარში.

6) არც პანსიონში და არც გარეთგან მოსიარულედ ყმაწვილები მიღებულნი არ იქმნებიან, თუ მომზადებულნი არ აღმოჩნდნენ თანახმად სკოლის პროგრამისა.

7) როგორც პანსიონში შემომსვლელმა, ისე გარედგან მოსიარულემაც, თუ მისი მშობლები მუდამ ტფილისში არა სცხოვრობენ, თავდებად უნდა მოიყვანოს ტფილისის მცხოვრებთაგანი ვინმე, რომელსაც ხელწერილი ჩამოერთმევა, რომ იგი ჰკისრულობს ყმაწვილის მშობლების მაგიერობას, სანამ ყმაწვილს მშობლები არა ჰყავს ქალაქში, და საჭიროების დროს გამოცხადდება კიდეც სკოლის უფროსთან, რომ ყოველი მოთხოვნილება სკოლის შესახებ ყმაწვილისა დაუყოვნებლივ აასრულოს.

8) ვისაც სურს ყმაწვილის მობარება სკოლაში, თხოვნა უნდა შემოიტანოს მარიამობისთვის თხუთმეტ რიცხვიდგან ოც-და ხუთამდის ტფილისის ინსპექტორის სახელზე და თხოვნასთან ერთად დოკუმენტებიც უნდა წარმოადგინოს. ვისაც პანსიონში უნდა შემოსვლა საზოგადოების სრულს, ან ნახევარს ხარჯზე, იმას მოეთხოვება: ა) წლოვანების მოწმობა, ბ) მოწმობა თავად-აზნაურობისა, გ) სიღარიბის მოწმობა და დ) ყვავილის აცრისა. ვინც საკუთარს ხარჯზე შემოდის პანსიონში, ან გარედგან მოსიარულედ, იმისათვის სავალდებულოა წლოვანების მოწმობა და მოწმობა ყვავილის აცრისა.

9) მარიამობის თთვის ოც-და ხუთიდგან დაიწყება მისაღები ეგზამენები. სწავლა დაიწყება სკოლაში პირველს ენკენისთვეს.

10) ვისაც წარსულს წელში ჰქონდა თხოვნა შემოტანილი და ვაკანსია არა ჰრგებია, იმან ხელ-ახალი თხოვნა უნდა შემოიტანოს წელს და თუ მაშინ არ წარმოუდგენია ყველა ზემოხსენებული დოკუმენტები, ახლა უნდა წარმოადგინოს.

(3—1)

ს. ჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—19)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან	კაპ.
თამარიანი, რაფიელ ერისთავისა	„	60
თორნიკე ერისთავი . . .	1	
საყმაწვილო ამბები . . .	„	40
ნინო ორბელიანის ლექსები	„	40
არითმეტიკა, მ. ყიფიანისა.	„	80
სურამის ციხე	„	20
გულივერის მოგზაურობა .	„	50
სამ გვარი სიყვარული, აკაკისა	„	30
მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი	„	30
ვაზის ობი	„	10
ლოცვანი, დამბაშიძისა . . .	„	30
ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. .	1	„
საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა.	,,	40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ.	1	50
II ნაწ.	1	50
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . .	,,	20
გულივერის მოგზაურობა .	„	50
საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა	„	15
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა	„	15
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ.	,,	15

ამ წლის 10 თებერვლიდამ გოლოვინის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლში, „კრუჟოკის“ გვერდზე, გამართულია მდიდრულად და მშვენივრად მოწყობილი ნომრები

„დ ა ნ ი ა“,

რომელიც ყველაფრით მოხერხებულია.

ზოგიერთი ოთახები ისეა გამართული, რომ ცოლ-შვილით შეუძლიან კაცს ცხოვრება.

ფასი ათ შაურიდამ ხუთ მანეთამდეა. თთვეობით ვინც იქირავებს, ბევრი დაეთმობა.

საჭმელ-სასმელი შინაურია, სუფთა და გემრიელი.

კანტორა თავ-მდებია, რომ მოსამსახურენი თავაზიანი და პატივისცემით მოეკიდებიან ჩვენს ნომრებში მდგომს და მარჯვედა და სწრაფად შეასრულებენ ყოველს იმის მოთხოვნილებას. (30—8)

ЗАВОДЪ МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ

Б.М. АЛЕКСАНДРЪ II ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДIЕ

СЕРЕБРЯНАЯ

А. А.


Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДIЕ

ЗОЛОТАЯ

ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—38) ა. თუთაევი

Доз. ценз. Тифлисъ 28-го Iюня 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографiя Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე